ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N198

2015 წლის 14 დეკემბერი
ქ.ქობულეთი

შპს „პრომეთე ქობულეთი“-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შპს „პრომეთე ქობულეთს“ ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი N840-ში მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 20.42.02.907) გაზგასამართი სადგურის მშენებლობისათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანდართული ნახაზის შესაბამისად;

2. შპს „პრომეთე ქობულეთმა“ უზრუნველყოს გაზგასამართი სადგურის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე



				15-373-1	ENERGO-PRO	
უფრ. სპეც.	მეგრელიძე			ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე შპს „პრომეთე"-ს კუთვნილი ობიექტის გარე ელექტრომომარაგება		
				ელექტრული ნაწილი	სტადია	ფურცელი	ფურცლები
სპეც.	ბარამიძე				მ. ა.	1	1
				10კვ ძაბვის საკაბელო ეგხ-ის ტრასის გეგმა	სს „ენერგო-პრო ჯორჯია" თბილისი, სანდრო ეულის ქ. №1 2015 წ.	